**აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2015 წლის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების 6 თვის მონიტორინგის შედეგების ანგარიში**

2015 წლის 15 სექტემბერი ქ. ზუგდიდი

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა მონიტორინგი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რეგიონული განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული პროექტების განხორციელების შესახებ (დანართი #1).

ზოგადად რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელება მთიანობაში შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად.

აღსანიშნავია, რომ „რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების ˝სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს #1750 განკარგულებით განისაზღვრა პროექტების შერჩევა-შეფასების განახლებული კრიტერიუმები და სამოქმედო გეგმის სტრუქტურა.

2015 წლის სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის პირველი ნახევრის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა რიგი ხარვეზები, კერძოდ:

- სამოქმედო გეგმაში ასახული ადგილობრივი ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტები და პროგრამები, ცალკეულ შემთხვევებში არ არის შესაბამისობაში რეგიონის განვითარების სტრატეგიის მითითებულ მიზანთან და ამოცანასთან.

- ცალკეულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტების მიერ მომზადებულ სატენდერო განცხადებაში დაშვებული ხარვეზის გამო, ხდება შესყიდვის პროცედურების დაგვიანება, რაც საბოლოო ჯამში აბრკოლებს პროექტების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესრულებას.

- საპროექტო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ პროექტების ტექნიკურ დოკუმენტაციებში საჭირო ხდება გამოვლენილი ხარვეზების შესწორება, რის გამოც ფერხდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად დაწყება.

- განხორციელებული პროექტები მათი არსიდან გამომდინარე უმეტეს შემთხვევაში საჭიროებენ აკრედიტირებული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას,

როგორც პროექტირების ასევე სამუშაოების ნაწილში, ხოლო დღეის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ ორი აკრედიტებული ბიურო, ხოლო მუნიციპალიტეტებიდან გაგზავნილი პროექტები დიდი რაოდენობის გამო ხშირ შემთხვევაში გვიანდება საექსპერტო დასკვნების მიღება, რომელიც თავის მხრივ აფერხებს პროექტების ვადებში დასრულებას, რაც პირდაპირ აისახება გეგმიურ საკასო შესრულებაზე.

- სასურველია პროცესში მონაწილე სუბიექტების მეტი კოორდინირებული მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩაბარებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების დროს. ხოლო რაც შეეხება ექსპერტიზის ბიუროების საქმიანობას სასურველია ეთხოვოს შესაბამის უწყებებს გაზარდონ რეგიონებში მათი წარმომადგენლობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯომარის მიერ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურს მიეცა დავალება მიმდინარე პროექტების ხარვეზების გამომწვევი მიზეზების ადგილზე შესწავლისა და ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენის თაობაზე. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთან შექმნილ სამუშაო ჯგუფებს ეთხოვა 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის განახლება, მთავრობის მიერ მიღებული განკარგულების შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან კოორდინაციით.

ლევან შონია

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე,

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში